ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავჯდომარეს ბატონ ზაალ მამალაძეს

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

დადგენილების პროექტის მიღების მიზეზია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 156-ე მუხლი, კერძოდ ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო რაოდენობის განსაზღვრის დროებითი წესი.

პროექტის მიზანია რეორგანიზაცია და საშტატო ნუსხის დამტკიცება განხორციელდეს კანონით დადგენილი წესით.

პროექტის ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ შეიმუშავა დადგენილების პროექტი „ჩოხატაურის მუნიციპლიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“. ზემოთ აღნიშნული მუხლიდან გამომდინარე დაწესებულებაში განხორციელდება რეორგანიზაცია და საკრებულომ უნდა დაამტკიცოს რეორგანიზებული საშტატო ნუსხა, რომელიც ძალაში შევა გამოქვეყნებისთანავე.

კანონპროექტის მიღება ამ ეტაპზე არ იწვევს ფინანსურ ცვლილებებს სახელმწიფო ბიუჯეტში, კონკრეტულად პროექტით წარმოდგენილი ტანამდებობრივი სარგოების განაკვეთები შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის შრომის ანაზღაურების მუხლის არსებულ ასიგნებებში ჯდება.

პროექტის ინიციატორია მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია.

პროექტის ავტორი და სხდომაზე მომხსენებელია მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე მარინე ბერაძე.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა

და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: მარინე ბერაძე

პროექტი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

2015 წლის ---------

დ. ჩოხატაური

„ჩოხატაურის მუნიციპლიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106^1 მუხლის თანახმად

საკრებულომ დაადგინა:

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება „ჩოხატაურის მუნიციპლიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად.
2. „ჩოხატაურის მუნიციპლიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106^2 მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.
3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. 4–ში.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტი მოამზადა: მარინე ბერაძე

პროექტი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება ----------

2015 წლის ----------

დ. ჩოხატაური

„ჩოხატაურის მუნიციპლიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ვ“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 20-ე, 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 23-ე და 25-ე მუხლების, „საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 სექტემბრის N576 დადგენილების, შესაბამისად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა საშტატო ნუსხა დანართი 1-ის შესაბამისად.

მუხლი 2

დამტკიცდეს საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა დანართი 2-ის შესაბამისად.

მუხლი 3

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ნოემბრის N53 დადგენილება „ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“

მუხლი 6

დადგენილება ამოქმედდეს 2015 წლის 1 თებერვლიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე **ზაალ მამამლაძე**

დანართი 1

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა საშტატო ნუსხა

N	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა საშტატო ნუსხა	საშტატო რიცხოვნება
1	საკრებულოს თავმჯდომარე	1
2	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1
3	სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე	1
4	სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	1
5	საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	1
6	ქონების მართვის, ეკონომიკურ და სოფლის მეურნეობის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	1
7	სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია	1
8	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	6

დანართი 2

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა

N	თანამდებობრივი რანგი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა	საშტატო რიცხოვნება
1	წამყვანი საჯარო თანამდებობა	საკრებულოს აპარატის უფროსი	1
2	უფროსი საჯარო თანამდებობა	საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე	1
3	უფროსი საჯარო თანამდებობა	მთავარი სპეციალისტი გამგეობასა და ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლებთან ურთიერთობის საკითხებში	1
4		**სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება**	3
5	უფროსი საჯარო თანამდებობა	განყოფილების უფროსი	1
6	უმცროსი საჯარო თანამდებობა	წამყვანი სპეციალისტი სამართლებრივი უზრუნველყოფის საკითხებში	1
7	უმცროსი საჯარო თანამდებობა	წამყვანი სპეციალისტი სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებისა და ექსპერტიზის საკითხებში	1
8		**საორგანიზაციო, საკადრო და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება**	4
9	უფროსი საჯარო თანამდებობა	განყოფილების უფროსი	1

10	უმცროსი საჯარო თანამდებობა	წამყვანი სპეციალისტი კომპიუტერული უზრუნველყოფის, საკადრო-საორგანიზაციო და ელექტრონული მომსახურების საკითხებში	1
11	უმცროსი საჯარო თანამდებობა	წამყვანი სპეციალისტი საკრებულოს ნორმატიული და ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტების, ვებ გვერდის მომსახურების საკითხებში	1
12	უმცროსი საჯარო თანამდებობა	წამყვანი სპეციალისტი საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის საკითხებში	1
13		**საოქმო და სამდივნო მომსახურების განყოფილება**	4
14	უფროსი საჯარო თანამდებობა	განყოფილების უფროსი	1
15	უმცროსი საჯარო თანამდებობა	წამყვანი სპეციალისტი საოქმო და სამდივნო საკითხებში	3

დასკვნა

„ჩოხატაურის მუნიციპლიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის თაობაზე

დადგენილების პროექტის შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 156-ე მუხლი, კერძოდ ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო რაოდენობის განსაზღვრის დროებითი წესი.

ასევე ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ შეიმუშავა დადგენილების პროექტი ,,ჩოხატაურის მუნიციპლიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“

ზემოთ აღნიშნული მუხლიდან გამომდინარე დაწესებულებაში განხორციელდება რეორგანიზაცია და საკრებულომ უნდა დაამტკიცოს რეორგანიზებული საშტატო ნუსხა .

აღნიშნული პროექტი სრულად შეესაბამება მითითებულ კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

აღნიშნული პროექტი მტკიცდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტით - საკრებულოს დადგენილებით.

,,სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის

თავმჯდომარე: მარინე ბერაძე